№ 15 1865 წ. აგვისტოს 1 № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბარება შეიძლება ტფილისათგან:
ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვის ორი მანეთი.

## სამაგალითო მარანი კახეთში.

ვინც კი იცის როგორ აკეთებენ ღვინოს ევროპაში და უნახავს აქაური გაკეთებაცა, იმას არ იქნება არ მოუვიდეს ფიქრად რომ ზემოთ ჩვენებულის გარჩევის მიზეზი მდგომარეობს ღვინის დაყენებაში, და ვენახისს მოვლაში. მორს გასაგზავნს და დიდხან შესანახს ღვინოს ევროპაელები აკეთებენ სხვა წესითა, რომელიც არ იციან ჩვენ ქვეყანაში. თუ ჩვენი ხალხი ყოფილიყო საკმაოდ გაღვიძებული და ჰქონოდა ჯეროვანი ზრუნვა თავის სარგებლობაზედ, თითონვე ეცდებოდა, რომ შეესწავლა ეს წესი და გამოეცადა აქაურ ღვინოებზე: მაგრამ აქამდინ ფიქრათაც არავის მოსვლია ხელის მიყოფა ამ საზოგადო სასარგებლო საქმისათვის, და უეჭველია, კიდევაც ბევრი ხანი გაივლიდა ამის მზრუნველის გამოჩენამდის, თუ თვით მთავრობას არ ეკისრა ეს ზრუნვა. აი რა საჭიროებისათვის ააშენებინა თავადმა ბარიატინსკიმ სამაგალითო მარანი კახეთში და დაადგინა სასწავლებელის გამართვა. მგონია, ცხადად დავამტკიცეთ რომ ამ სასწავლებელს ექნება საქმე ახალი, გამოსადეგი და სასარგებლო კახელებისათვის. კახელებმა არ იციან ის წესი, რომელიც საჭიროა ვენახის მოვლისათვის და ღვინის დაყენებისათვის, როცა ღვინო უნდათ მორს გასაგზავნათ, ანუ დიდხანს შესანახავათ; ამის წინააღმდეგის თქმა ვერავის შეუძლიან. კახეთის სასწავლებელმა უნდა აჩვენოს ეს წესი, და მამასადამე უსაფუძვლოა გულგრილობა ანუ კიცხვა ვისგანმე ამ სასწავლებელზედ, უს-

აფუძვლოა ამასთანვე სურვილი ზოგიერთის მამულის--პატრონისა, გაგონილი ჩვენგან; რომ მე მამცენ ეგ მომართულება, მე დავაყენებ კარგ ღვინოებსაო, ჩვენ დავარწმუნებთ პატივცემულს მამულის პატრონებსა, რომ თუ მთავრობას სდომებოდა კახურათ ღვინის გაკეთება და საკმარი ყოფილიყო ხელოვნება და გამოცდილება ჩვენის მამულის--პატრონებისა, ორ ქვასაც არ დასდებდა ჩობასურში; კახეთის სამავალითო მარანს აქვს თვით ბრძნული და მადლიანი საფუძველი, და დიდი ლიტონი იქნება ვისაც ამაში დარჩება ეჭვი ზემოთ ნათქვამის შემდეგ.

ჩვენ აქამდინ გავშინჯეთ მხოლოდ ერთი მხარე კახურის მომართულებისა, სახელდობრივ გაკეთება ღვინისა გასაგზავნელად და დიდხანს შესანახად; სხვა ადგილას გავშინჯავთ, რა მნიშვნელობა ექმნება ამ მომართულებას საზოგადოთ ჩვენის უპირველესის ხელობისათვის. კახელებს აქამდინ არა ჰქონიათ არც საჭიროება და არც შემთხვევა, რომ სხვა ქვეყნებში ეტარებინათ გასასყიდათ თავიანთი ღვინო: ამიტომ არცა ჰსცოდნიათ იმ გვარად ღვინის შემზადება. ღვინოს ჰქონია გასავალი ადგილობრივ, და ეს არი მიზეზი, რომ კახეთში დამკვიდრებულა წესი ღვინის კეთებისა, შესაფერი ადგილობრივ დასარჯვისათვის. ანუ ახლო ადგილს გაგზავნისათვის. თუმცა ამგვარის ხმარებისათვის მალიან კარგათ არის შერჩეული კახური ღვინის დაყენება, მაგრამ იმედი მაქვს შემდეგომში დავამტკიცოთ, რომ ამ საქმეშიაც არ ავსულვართ უმაღლეს ხარისხში და ჯერ ბევრი დაგვრჩომია სასწავლებელი და დასათვალიარებელი. დასასრულად უნდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებსა, რომ წლეულ დასრულდა და ჩაებარა მამულის პატრონობის გამგებლობასა კახური სამაგალითო მარანი თავის შენობაებითა და წლეულვე აპირებენ მიჰყონ ხელი ღვინის კეთებასა ევროპიულ წესზედ.

---

## თესლის--ქცევა.

თესლის--ქცევა არის ჯერჯერით თესვა ერთს ადგილს სხვა-და სხვა მცენარეებისა ისეთი წესით, რომ არამც თუ მიწა არ გალარიბდეს, თანდათან იმატოს კიდეც მოსავალმა და მიწის კეთება შეიქმნას უადვილესი. დასაბამიდგან უეჭველად კაცს უთესია მხოლოდ იხვთი მცენარეები, რომელნიც საჭირო ყოფილან თავის გამოსაკვებად და აქამდინაც ესენი არიან უმთავრესნი მოსავალნი ჩვენის ნახნავებისა. დიდიხანი არ უნდა გასულიყო მინამ შეიტყობდნენ, რომ თავის თავათ ამოსული მცენარეები იცვლებიან ყოველ წელიწადს და მიწას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლიან მოუვანა ზედიზედ ერთგვარს მოსავლისა, ანუ თუმცა მოიყვანს თან და თან აკლდება მოსავალსა; მიწის დალლის ჭაზრიც უნდა მაშინ მოსვლოდა კაცსა.

სადაც მინაური პირუტყვი ჰპოულობს ზამთარ ზაფხულს საკმაო საზოვარსა და მიწის მოქმედს არა აქვს არა ვითარიმე ზრუნვა იმათი სარჩოსათვის, იქ ყოველივე კვლოვნება მამულის--პატრონისა მდგომარებს მხოლოდ იმაში რომ არჩიოს კარგი ნაყოფიერი ადგილი სახნავად, რადგანაც შეუძლიან მიწის სიუხვის გამო დაუტიოს ძველი სახნავები რამდენიმე წელიწადს შეუსვენებლად, ხალხის გამრავლების შემდეგ ადრინდელი სიფართოება უნდა დამცირებულიყო და იმავე ხანს ვეღარც გაუშვებდნენ მიწას შესასვენებლად როგორც პირველში. მაშინ ხვნას უნდა მიჰმატებოდა სასუქის მიცემა, და რადგანაც სასუქი არიყო საკმაოდ, რომ ყოველთვის ემლიათ მიწისათვის და მოუწყვეტლად ემუშავებინათ ნახნავები, ამისათვის შეიძლეს მხოლოდ შემოკლება და არა სრულიადი ამოკვეთა მიწის შესვენებისა. ამ გვარად დაეფუძნა ევროპაში სამწლოვანი თესლის--ქცევა, რომელშიაც პირველს ორს წელიწადს სთესენ სასუქ მიცემულ მიწაზედ პურსა და მესამე წელიწადს ასვენებენ; შემდგომი ხარისხი თესლის ქცევისა არის თესვა პირუტყვის საკვები ბალახებისა, იონჯისა, სამყურა ბალახისა და ესპარცეტისა, რომლის მაგალითსა ვხედავთ ერევნის გუბერნიაში. ევროპაელები გარდა ამისა სთესვენ მინდორში პურის შემდეგ კარტოფილსა, სტაფილოსა, ჭარხალსა და სხვა მრავალსა მსხვილძირიან, ანუ როგორც უწოდებენ მიწის მოქმედები გასამარგლავად მცენარეებსა. დიდი ხნის დათვალიერებითა და გამოცდითა შეუტყვიათ, რომ ყველა მცენარე ერთ გვარად არა ღლის მიწასა; ყველა მცენარეს არ უხდება თესვა ერთის მეორის შემდეგ: რომლისამე მცენარის დათესვა შეიძლება ხშირად ერთსა და იმავე ადგილზედ და რომლისამე იშვიათად. აქედამ შედგა საკუთარი სწავლა თესლის ქცევისა, რომლის უმთავრესი წინადადებანი გვსურს ვაცნობოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებსა შემდგომი სტატიებით.

თუმცა იშვიათია რომ ტყე, მინდორი ანუ სხვა ადგილი იყოს მოცული მხოლოდ ერთი გვარის ხითა ანუ ბალახითა, და თუმცა სხვა და სხვა მცენარეები არიან ბევრ წილად შერეულნი, მაინც კიდევ უმთავრესი ადგილი ყოველთვის უჭირავს მცირე თუ დიდხანს ერთს რომელსამე მცენარესა, მაგრამ დროსა და ჟამის განმავლობითა ეს მცენარე ჰკარგავს თავის ძალას, ჰსჩნდებიან იმას შუა სხვა მცენარეები, სჩაგვრიან და ამოსწყვეტენ ხან და ხან პირველსა და თითონ შეიქმნებიან უმთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესნი, ამის მაგალითებს ვხედავთ ხშირად მინდვრებში. გვარი ბალახისა იცვლება ყოველთვის, ჰრასა ბალახის შემდეგ მოდის სამეურა ბალახი, გარეული ოსპი და სხვა იმავე გვარის მცენარეები, ხან გასშირდება მელის კუდა, ხან მჟაუნა, ხან მატიტელა და სხ. ვისაც თვალი უდევნებია და კარგათ შეუნიშნავს მდგომარება ყანებისა, უთუოდ ეცოდინება რომ უბრალო ბალახები, რომელნიც ამოდიან ყანაში წლითი წელ იცვლებიან ასე, რომ ხან ერთი გვარი მრავლდება, ხან მეორე, ხან მგორველა, ხან ღვარძლი, ხან ხსვილი მურწა.

ხეებიც ემორჩილებიან ამ ბუნებით რჯულსა. ათას შვიდას ორმოც და ექვსში, ამბობს ერთი მწერალი, დაიწვა მატონოვში (ფრანციაში) ათი დღის ტყე, რომელშიაც უმრავლესი ხე იყო თელა. შემდგომ წელიწადში დამწვარ ადგილას, გაჩნდა სხვა და სხვა ჯაგები, რომლებ შუა ამოყვეს თავი უთვალავმა პატარა მუხებმა, და როცა გაიზარდნენ, ჯაგები სრულად გაქრა და თელის ტყის ადგილს გაიზარდა მშვენიერი მუხის ტყე. ესრეთვე შეცვლა რელისა მუსათ შეუნიშნავთ სხვა მრავალს ადგილებშიაც, რომლის აღრიცხვასაც ვრაცხთ უსარგებლოთ, რადგანაც უმეტესს ნაწილსა ჩვენ მკითხველთა არა აქვს საშუალობა შეამოწმონ ჩვენი მაგალითები იმ თხუზულებაებთან, საიდამაც არიან გამოკრეფილნი. ევროპაში, სადაც ტყის მოჭრა არის დამოკიდებული განსაზღვრმბულ კანონზე, ესე იგი, სადაც ტყე არის გაყოფილი ნაწილებად, რომლებსაც სჭრიან ერთს მეორის შემდეგ ჰასაკის შეხედვით, იქ ყველამ იცის კარგათ, რომ ერთს გვარს ხეს მოსდევს მეორე, და რაც უნდა დიდხანს ეჭიროს ერთი ადგილი ბოლოს როცა მოსჭრიან სხვა გვარი ხე უნდა გაჩნდეს თავის თავათ.

ერთხელ და ორჯელ რომ შაენიშნოთ ეს ცვლილება მცენარეებისა, მაშინ არავინ მისცემდა ყურადღებასა და მიაწერდნენ შემთხვევასა, მაგრამ ისე ხშირი და მიუცილებელია ამგვარი მაგალითები, რომ უეჭველად უნდა იყოს დაფუძნებული საზოგადო ბუნებითს კანონზედ, მრავალს ევროპიულ მეცნიერებს მიუღიათ მეცადინეობა, რომ განმარტონ ეს ბუნებითი კანონი, და თუმცა აქამდისინ ვერავინ შაიძლო საკმარისად განმარტება, მაინც ღირსია, რომ მოვისხენოთ რომელიმე ამა გამომიებათაგანი, რადგანაც მცირის ცოდნა ყოველთვის ჰსჯობს სრულს უცოდინელობასა.

ცვლილება მცენარეებისა, ამბობენ ზოგნი, იმაზედ არის დამოკიდებულიო, რომ სხვა და სხვა მცენარეები სწოვენ მიწისაგან, სხვა და სხვა საკვებ ნივთიერებასა ანუ სანოვაგესაო, თუ მიწას მოაკლდა ნივთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერება, საჭირო რომლისამე მცენარის გამოზრდისთვის, მაშასადამე ეს მცენარე უნდა დარჩეს უსარჩოთ, დასუსტდეს და დაუთმოს ადგილი სხვა მცენარესა, რომლის სარჩო უხვად იპოვება მიწაში, ეს ახსნა დიდი საფუძვლიანია მრავალს შემთხვევაში რადგანაც ხიმიური გამოძიება მართლად გვიჩვენებს, რომ ყოველი მცენარე არა თხოულობს ერთსა და იმავე გვარს სანოვაგესა, მაგალითებრ დარწმუნებით ვიცით რომ ხორბალი, ქერი თუ სიმინდი იღებს მიწისგან კირსა და ფოსფორსა, კარტოფილი და სხუა მსხვილი მირჭკვიანი მცენარები იღებენ ტუტასა; მაგრამ ამ საფუძლით არ შეიძლება ახსნა ცვლილებისა იმ გვარ მცენარებისა, რომელნიცა იღებენ თითქმის ერთსა და იმავე ნივთიერებასა მიწისაგან, მაგალითებრ ხეების ცვლილებასა ამისათვის სხვა მეცნიერებმა მიუმატეს ზემოთ მოყვანილს ახსნას ის ჰაზრიც რომ ცვლილება უნდა იყოს დამოკიდებული მცენარის მირკვლების დიდ პატარაობაზედა. მცენარე ჰსწოვს თავის სანოვაგესა მიწისგან მირკვლებითა და რამთენიც მირკვი გრძელი აქვს იმთენი უფრო ბევრი სანოვაგის ამოღება უნდა შეიძლოს მიწისაგან, რადგანაც ღრმათ მიდის და დიდს ადგილს იჭერს. ვსთქვათ ერთ მცენარე დგას რომელსამე ადგილს, თუ რომ ამოსწოვა იმის მირმა სადამდინაც შეეძლო მიწისაგან სანოვაგე და აღარა დარჩარა, მაშინ ეს მცენარე უნდა გახმეს და იმის ადგილას ამოვიდეს სხვა მცენარე, რომელსაც უფრო გრძელი ფესვები აქვს და შეუძლიან უფრო დიდს სიღრმეს მიწვდეს და ისარგებლოს იმ სანოვაგითა, რომელსაც ვერ მისწვდა პირველი მცენარე ფესვების სიმოკლის გამო. მარტო ეს ახსნა, როგორაც ჰსჩანს, არ იქნება საკმაო, რომ დავუდვა სახოგადო მიზეზად, რადგანაც შეხება მხოლოდ მცენარებსა რომელნიც განირჩევიან ერთმანერთში მირკვების სიდიდითა, და არა ყოველს გვარს მცენარეებსა.

შვეიცარიის ბუნების მეტყველი, დეკანდოლი, ამბობს რომ ცვლილება მცენარეებისა ერთსა და იმავე ადგილისა წარმოდგების იმისგან, რომ თვითეული მცენარე უშვებს თავის ნადგომ ადგილს განავალსა, რომელიც არის მავნებელი იმისათვისაც და სხვა იმავე გვარის მცენარეებისათვისაც. გაღარიბება მიწისა არის ორგვარი. პირველად როცა მიწას გაუღია ყოველივე მცენარის საზრდო ნივთიერება და ვეღარ შეუძლიან გამოზარდოს ვერც ერთი ნერგი. მეორედ როცა გამხდარა უვარგისი მხოლოდ ერთის გვარის მცენარისათვის, და კარგათ შეუძლიან მოყვანა სხვა გვარისა, მეორე შემთხვევაში მიწა წამხდარა მცენარის განავლისაგან

რომელიც შერეულა შიგა და ავნებს იმავე მცენარესა. ესრეთ, ატამი ახდენს მიწას თავისათვის, და თუ ატამს გადავრგავთ იმ ადგილას სადაც ადრეც ატამი მდგარა, ახლად გადარგმული უთუოთ წახდება. თუმცა სხვა ხეხილი კარგათ იხეირებდა. თუ ხეს თვითონვე არა აქვს ვნება თავის განავალისაგან, მიზეზი ის არი, რომ იმისი მირკვები თან და თან გრმელდებიან და შადიან იმ ადგილას, სადაც ჯერ არ არის იმისი განავალი. ცხადია, რომ თავის განავალი ისევე მაწყინარი უნდა იყოს მცენარისათვის, როგორც მაწყინარია პირუტყვისათვის, ამ გვარი მოქმედება აქვს განავალსა არამცთუ ერთის გვარის მცენარეისათვის, არამედ მსგავსი გვარისათვისაც, მაგალითებრ ატმის განავალი მაწყინარია ატმისათვისაც და ჭერმისათვისაც, მეორე მხრით ესევე განავალი ანაყოფიერებს მიწასა და არის სასარგებლო სხვა გვარის მცენარეებისათვის. ამ შენიშვნასაც აქვს თავის მხრივ ბევრი ნამდვილი გამოცდილება და მართლდება მრავალს შემთხვევაში, თუმცა საზოგადო მიზეზადკი ვერც კს დაიდება.

ყველაზე ცხადია ახსნა იმ მცენარეებისა, რომელნიცა არ გამოეკიდებიან მცენარეების შინაგან თვისებასა და იმათ ზრდის კანონსა, და მხოლოდ მიიღებენ ყურადღებაში გარეგანს, თვალსაჩენ პირობასა, რომელიც არის საჭირო მცენარის გაზრდისათვის; ესენი ამბობენ, რომ მცენარეების ცვლილება მოხდება მაშინ, როდესაც იმათ ჯერ--ჯერით ბრუნებას მოსდევს შენახვა მიწისა საკმაოდ ამღილად და სუფთად, ესე იგი თავის უფლად ცუდი ბალახებისაგან.

ზემოთ მოყვანილი შემეცნებაებისაგან გამოვლენ შემდგომნი კანონნი მიწის--მხვნელისათვის.

1) მიწის დამღლელის მცენარის წინ და შემდეგ უნდა დაითესოს იმისთანა მცენარე, რომელიც ასვენებს მიწასა და უბრუნებს ნაყოფიერებასა. მიწის გამაღარიბებელი მცენარეები არიან: ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი, სელი, კანეფი და სხვები, რომელსაც უშვებენ ადგილს თესლის მომწიფებამდინ. მიზეზი ამ გვარის თვისებისა ის არი, რომ მომკამდინ ამათ უხმებათ ფოთლები, რომელნიც ვეღარა სწოვენ ჰაერითგან სანოვაგესა, და ცხოვრებენ მხოლოდ მირკვებითა, რომელნიც მიიღებენ სანოვაგეს მიწისაგან. მიწის დამსვენებელი ანუ გამნაყოფიერებელი მცენარეებო არიან ისინი, რომლებიც მოიკრიფებიან ანუ გაითიბებიან მარცვლის მომწიფებამდინ, მაგალითებრ სამყურა ბალახი, იონჯა, ესპარცეტი; აგრეთვე ხე და ჯაგი, რომლის ფოთოლი ცვივა ყოველ წელიწადს და ასუქებს მიწასა, კომბოსტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭარხალი, რომელნიც ხმარობენ მხოლოდ სასუხის ნაწილსა და უშვებენ დანაშთენს მიწაში.

4) ერთი გვარის და ერთი სახის მცენარის შემდეგ უნდა დაითესოს მცენარე სხვა გვარისა და სხვა სახისა,--ხშირად დაბრუნება მცენარისა ერთსა და იმავე ადგილსა ამრავლებს ცუდს ბალახსა, რომელიც ჰსჩაგრავს დათესილ მცენარესა. მდოგვი, შირბახტი, სელი ოთხი წლის ადრე არ უნდა დაბრუნდეს ძველ ადგილსა; ზაფრანა თხოულობს თხუთმეტის და ოცის წლის განმავლობასა,--ამას გარდა შენიშნულია ნამდვილად, რომ ზოგი ერთი მცენარე კარგათ მოდის სხვა რომლისამე მცენარის შემდეგ; ესრეთ ხორბალი აძლევს დიდს მოსავალს თუ არის დათესილი სამყურა ბალახის ანუ გარეული ბაკლის (*) შემდეგ; კარტოფილის შემდეგ ქერი უფრო კარგათ მოდის მინამ ხორბალი.

5) შემდეგ იმ მცენარისა, რომელიც ამრავლებს ყანაში ცუდს ბალახსა, როგორც ხორბალი, უნდა დაითესოს ისეთი მცენარე, რომელიც ამოსწყვეტავს ცუდს ბალახსა ანუ დააყენებს იმათ გამრავლებასა. ცუდი ბალახის ამომწყვეტი მცენარე არის ორგვარი, პირველს ეკუთვნის სამყურა ბალახი, იონჯა და სხვა, რომელებსაც აქვსთ მრავალი შტოები და ფოთლები, ხშირადა დგანან ერთი ერთმანეთზედ და ისე უჭირავთ მზის შუქი, რომ იმათ ძირკვებ შუა ველარ უხეირნია სხვა მცენარესა. ამისათვის საჭიროა რომ ამგვარი მცენარე იყოს დათესილი ღონიერ მიწაზე და ჩქარა გაიზარდოს, თორე თუ ნელნელა იზდება მაშინ სხვა ბალახები გაასწრობენ ზრდაში და შეიქმნებიან დამჩაგვრელნი. მეორეს ეკუთვნის იმისთანა მცენარეები რომელსაც სთოხნიან და ჰმარგლიან, როგორც კარტოფილი, ჭარხალი და სხვა. ამ მცენარეების დათესილი მიწა თითქო მასვენებული იყოს, რადგანაც იწმინდება ცუდი ბალახისაგანა, ბრუნდება რამდენჯერმე, იფხვნება, და მასთან კარგ მოსავალსაც აძლევს.

გამოცდილი მიწის მოქმედების ჰაზრითა ყოველს ოთხწელიწადში ერთხელ უნდა დაითესოს გასამარგლავი მცენარე, როგორც კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი და სხ. ესრეთ ფრანციაში მრავალი მამულის პატრონები პირველ წელიწადს სთესენ ჭარხალსა (შაქრის გასაკეთებლად.), მეორეს ხორბალსა, ანუ ქერსა, მესამედ იონჯასა და მეოთხედ კიდევ ხორბალსა, შემდეგ ბრუნდებიან ამავე წესითა. ამასა ჰქვიან ოთხ წლოვანი თესლის ბრუნება. რასაკვირველია რომ არც ერთს წელიწადში არა დგანან მხოლოდ ერთს მოსავალზედ; ოთ-

(*) ამ მცენარეებსა სთესენ ევროპაში პირუტყვის საკვებად.

ხივ აქვთ დათესილი ყოველთვის, რადგანაც მიწები ოთხათა აქვთ დათესილი.

ევროპაში ბევრს ადგილს შეხვდება კაცი მშვენიერს თესლის ქცევის წესსა, სრულად დამორჩილებულსა და შესაფერს ზემოთ მოყვანილის კანონებისათვის, მაგრამ გადატანა სხვაგან ამ წესისა შეუძლებელია თუ არარის მსგავსება იმ გარემოებისა, რომელზედაც არის დამოკიდებული თესლის ქცევა. რაც ერთ ადგილას სრულად შესაფერია და სასარგებლო, იქნება სხვაგან იყოს სრულად უსაფუძვლო და მავნებელი, ამისთვის საჭიროა შევიტყოთ გარემოებაები, რომელიც უნდა იყვნენ წინა მძღომლება ამ საქმეში.

პირველი არის მიწის ბუნება. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან გავყოთ მიწები სამ კატეგორიად, ანუ სამ გვარად.

პირველ გვარს მივაწეროთ მიწა ქვიშიანი, კირიანი, უფრო მშრალი ვინამ ნესტიანი, ფუხვნილი მინამ მაგარი, მაღლობი მინამ ჩავარდნილი, კარგი ქერისათვის, ლობიოსათვის, კარტოფილისათვის, მიწისა ვაშლისათვის, მზეუშვრიტისათვის.

მეორე გვარს მივაწეროთ ყოველს ალიწიან მიწასა უფრო ნესტიანსა, მინამ მშრალსა, დაბალსა, მაგარსა, რომელიც ვარგობს ხორბლისათვის, სამეურისათვის ბაკლისათვის. მუხუდოსათვის, კომბოსტოსათვის და სხ.

მესამე გვარისა იქნება ის მიწა, რომელსაც აქვს საშუალო თვისება ესე იგი არც არი ისე ფუხვნილი, მშრალი და მაღლობი როგორც პირველი გვარი და არც ისე მაგარი ნესტიანი და ჩავარდნილი როგორც მეორე. ერთი სიტყვით ამ გვარს მიეკუთვნება საუკეთესო ნაყოფიერი მიწა, რომელზედაც კარგათ მოვა ყოველივე გვარი მოსავალი ჯავის შესედვით, და მეტადრე შემდგომი: ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, ღიღა, მდოგვი, კანეფი, სელი, ენდრო, თამბაქო, ბამბა, გოგრა, ზაფრანა, ჭარხალი; სტაფილო, სვია და სხ.

(დასასრული შემდგომ ნომერში)

---

Дозволено цензурою 1863. г. Августа 1. г. Тифлисъ. Цензоръ Кантмавовъ.